Metropolitan Herman, Primate

P.O. Box 675
Syosset, NY 11791-0675
Tel: 516.922.0550
Fax: 516.922.0954
Website: www.oca.org

აღდგომა ქრისტესი, 2007 წ.

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!

ეოვლადსამღვდელო მღვდელმთავრებს, მოძღვართ, დიაკონთ, ბერ-მონოზონთ, ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთივკურთხეულ სულიერ შვილებს:

ქრისტესმიერ საყვარელნო!

“ თუ ქრისტე არ აღმდგარა, ამაოა ჩვენი ქადაგება და ამოა თქვენი რწმენაც... ხოლო თუ ქრისტე არ აღმდგარა ამაოა თქვენი რწმენა: ჯერ კიდევ თქვენსავ ცოდვებში ხართ! “ (1 კორინთ 15,14,17)

ბოლო დროს ჩვენი რწმენის მთავარი დოგმის, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის უარეოფის ძალისხმევას ააქვს ადგილი. უჩვენეს დოკუმენტური ფილმები იმის თაობაზე თითქოს აღმოჩენილია მაცხოვრისა და მისი ოჯახის წევრების სამვალე. “მეცნიერები“ ბჭობენ იმაზე მართლაც აღესრულა ქრისტე ჯვარზე თუ ადგილი ჰქონდა უბრალოდ სიკვდილის იმიტაციას, რომლის შემდეგაც გადაასვენეს რა ქრისტე სარკოფაგში იგი გამოვიდა ამ მდგომარეობიდან. ის, რამაც 2000 წლის წინ აზრთა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია - უფლის მკვლელებმა ხმებიც კი გაავრცელეს თითქოს მაცხოვრის მოწაფეებმა მისი სხეული მოიპარეს - დღესაც დავა-კამათის საგანია. აღდგომის მეცნიერულად დამტკიცება შეუძლებელია. ეს საიდუმლოა - ყველა დროის უდიდესი საიდუმლო რომელიც მხოლოდ რწმენით შეიძლება იქნას გაგებული, რწმენით ღვთის განგებულებაში, მასში ვისაც, როგორც მწუხრის ერთერთ საგალობელშია ნათქვამი, ბუნების საკუთარი ნებით შეცვლა ძალუძს. ამ საიდუმლოს ვერ ჩაწვდება ის ვინც უარეოფს ცნებას იმის თაობაზე რომ ღმერთმა ისე შეიყვარა ქვეყანა რომ მისცა თავის ძე მხოლოდშობილი, რათა მან განაახლოს მთელი ქმნილება შემოქმედთა მიმართებაში. მათთვის ვინც უარეოფს ღმერთს ან ინდიფერენტულია მის მიმართ, აღდგომა მხოლოდ მითია, ქრისტეს სიკვდილი ეოველგვარ აზრსაა მოკლებული, ერთერთი შემთხვევაა იმ დროის სამოქალაქო ხელისუფლების მიერ ადამიანის სიკვდილით დასჯისა რომლის მსგავსი შემთხვევები უამრავი იეო. მართალია ჩვენ ჯვარცმულ ქრისტეს ვქადაგებთ როგორც ამას წმინდა მოციქული ჰავლე ბრძანებს, მაგრამ უდიდეს მნიშვნელობას ჯვარცმა ბრწეინვალე აღდგომაში იძენს. ჯვარი - საშინელი სიკვდილის ეს სიმბოლო გამარჯვების, ღმრთის მეუფების, სიყვარულისა და შენდობის სიმბოლოდ იქცა. ვქადაგებთ რა ჯვარცმულ იესოს, მზერას ვაჰერობთ დაცარიელებულ საფლავს, საფლავს ქრისტესა რომელმაც საკუთარი თავი დასდო რათა გავეთავისუფლებინეთ ცოდვის მონობისა და სიკვდილის მარწუხებისაგან. “როდესაც აღდგომის სახარება დაჰკარგავს კონტროვერსულობას, იგი დაჰკარგავს ადამიანის გარდაქმნის ძალასაცო“, წერს ერთერთი ავტორი. მაცხოვრის აღდგომა დღესაც დავა-კამათის, ეჭვისა და ზოგჯერ უარეოფის საგანია. ასეთუისე ერთი რამ უნდა ვაღიაროთ, 2000 წლის განმავლობაში მიმდინარე დავა-კამათის, მეცნიერული კვლევისა და არქოლოგიური გათხრების მიუხედავად ქრისტეს

ნათელი კვლავაც ანათებს და მას ჩაქრობა არ უწერია . აღდგომა ჩვენი, ქრისტიანების რწმენისა და ცხოვრების ქვაკუთხედია. რწმენის თვალს საიდუმლოს მიღმა, უკიდეგანო სინამდვილეში ჩაწვდომა შეუძლია - ღმრთის სიყვარულის სინამდვილეში, იმაში რაც ჩვენი მაცხოვრის აღდგომას ხდის შესაძლებელს, ისევე როგორც ჩვენს აღდგომასა და ნეტარებას ცათა სასუფეველში.
ავღნიშნავთ რა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, ვისურვებდი რომ ჩვენ მტკიცედ აღვუდგეთ წინ ცდუნებას ეჭვი შევიტანოთ ჩვენი რწმენის მთავარ საიდუმლოში. დაე, მარადჟამს გვწამდეს იმისა რომ მაცხოვრის ცარიელი საფლავიდან ცოდვათა შენდობა და ახალი ცხოვრება იწყება. მტკიცედ შევინახოთ რწმენა იმაში რომ მხოლოდ გონებისათვის შეუცნობადი საიდუმლოთი აღდგომისა შევძლებთ ჩავწვდეთ ამ ქვეყანაზე ჩვენი ჭეშმარიტი დანიშნულების არსს და სახარებისეულ მცნებას ვიყოთ ამ ქვეყანაში მაგრამ ამავე დროს აქვე შევიგრძნობდეთ ცათა სასუფევლის სიხარულს.
დაე მკვდრეთით აღდგომილმა მაცხოვარმა განგვანახლოს ამ ბრწყინვალე დღესასწაულში და აკურთხოს ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე, რათა მხოლოდ მას, მაცხოვარს ჩვენსას ვადიდებდეთ.

აღდგომილმა მაცხოვარმა დაგლოცოთ.

ქრისტესმიერი სიყვარულით,

+ ჰერმანე

ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსი, სრულიად
ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი.